ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო

სპეციალური გამოშვება, დეკემბერი 2015 წელი

«კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არამარტო მას, ვისაც იხსენიებენ, არამედ მასაც - ვინც იხსენიებს...»

გიზო ნიშნიანიძე



რენალდ დგებუაძე - 75

ბატონო, ქალბატონო ________________________________

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ________ წლის ______________________საათზე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის არტგალერეაში (ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N6) პატივს მიაგებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის რენალდ დგებუაძის ხსოვნას, რომელსაც წელს 75 წელი შეუსრულდებოდა.

გელოდებით,

ერთად გავიხსენოთ ღირსეული მამულიშვილი.

რენალდ დგებუაძე – 75

დგებუაძეების გვარის შეხვედრა. ქ. თბილისი, 2002 წლის 8 ივნისი.

შეხვედრა გროსმაისტერ ბ. ჯობავასთან. 2003 წ.

გალის რაიონის გამგეობის მუშაკთა თბილისის ჯგუფი. 2001 წლის 21 მარტი

ოთარ აკიშბაია, რენალდ დგებუაძე, მურმან ჭედია, დავით კვარაცხელია. 2002 წ. 13 მაისი

მარცხნიდან: პალიკო ბაღათურია, თენგიზ ჩაჩიბაია, რენალდ დგებუაძე, იური კაკავა, რუბენ სიჭინავა, ოთარ სანაია. 1982 წ

რენალდ დგებუაძის გახსენება

13 ოქტომბერს 75 წელი შეუსრულდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რენალდ დგებუაძეს.

ბატონი რენალდი დაიბადა გალის რაიონის სოფელ საბერიოში, სადაც ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა.

1963 წელს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ყაზახეთში ინჟინერ-მშენებლად, 1973-1975 წწ. - ენგურჰესის მშენებლობაზე, სხვადასხვა თანამდებობაზე, მომდევნო 10 წელი იმუშავა საქართველოს კპ გალის რაიკომში, ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ გაყოფილების გამგედ და რაიკომის მდივნად. მომდევნო 5 წელი - გალის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, 1991-2004 წწ. იყო გალის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე.

1991 წელს ბატონი რენალდ დგებუაძე არჩეული იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბატონი რენალდ დგებუაძე გარდაიცვალა 2004 წლის 7 ნოემბერს.

ბატონმა რენალდმა გალის რაიონისა და მთლიანად აფხაზეთის საზოგადოებაში წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც ღრმად განსწავლულმა, მაღალი პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის მატარებელმა პიროვნებამ. ის უსაზღვროდ იყო შეყვარებული მშობლიურ სამურზაყანოსა და დედა-საქართველოზე, მძიმედ განიცდიდა იმ ტრაგედიას, რაც აფხაზეთში დატრიალდა. სიცოცხლის ბოლო დღემდე აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნების იმედს არ კარგავდა. თავის გრძნობებსა და განცდებს ბატონი რენალდი გამოხატავდა თავის პოეზიაშიც. მისი ერთ-ერთი ლექსი ასე მთავრდება:

„ჩვენ დავბრუნდებით მტრების ჯინაზე
მხრებგაშლილი და წელგამართული,
კოლხთა ღვთის რჩეულ ბებერ მიწაზე
კვლავ იჯეჯილებს ჯიში ქართული“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

რენალდ დგებუაძის ცხოვრება

რენალდ დგებუაძის ცხოვრება სიკეთის, სიყვარულის, პატრიოტიზმისა და პროფესიონალიზმის უშუალო მაგალითია. ყველგან, სადაც კი მოუწია მას ყოფნა, წარსდგა, როგორც საკუთარი ოჯახის, მშობლიური გალისა და სათაყვანებელი საქართველოს ღირსეული წარმომადგენელი.

მასში ჩადებულ იდეებს უპირობოდ უწერია განხორციელება ახლო მომავალში, მაგრამ რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ აღმშენებლობისა და მასთან დაკავშირებული ბედნიერების განცდით ნაზიარევ სვლაგეზს ველარ შეუყვება ღირსეული მამულიშვილი - ბატონი რენალდ დგებუაძე.

თემურ მჟავია,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

***

რენალდ დგებუაძე იმ კოდის მატარებელი იყო, რომელიც ოდითგანვე მოსდგამდა მის გვარსა და ჯილაგს, - მისი ანასხლეტი, მისი ნაპერწკალი იყო.

ცხოვრებამ, ბედისწერამ დიდი განსაცდელი დაატეხა ჩემს მეგობარს. XX საუკუნის ისტერიამ, ძულვამ ენგურის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირისკენ გამორიყა. ხელის გაწვდენაზე დარჩა მამაპაპისეული სახლ-კარი, მოხუცი, ხანდაზმული მშობლები. ემმა გაბატონდა ძირძველ ქართულ მიწაზე.

წერდა, ფიქრობდა, განიცდიდა. ყოფნა-არყოფნის შექსპირისეული საწამლავით სავსე ფიალა ბოლომდე გამოსცალა, სასოწარკვეთასა და იმედგაცრუებას ებრძოდა.

გენო კალანდია,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

***

ინტელიგენტურ, კოლხური ტრადიციების ერთგულ ოჯახში აღზრდილი რენალდის პიროვნებაში სრულად გამოვლინდა კოლხი რაინდის ბუნება - ბრძნული სიდარბაისლე და ვაჟკაცური შემართება, აზრის სიმკვირცხლე, შემწყნარებლობა და თანადგომა გაჭირვებულთა მიმართ, ზიზღი ყოველგვარი უკაცურობის, სიმდაბლის, ფარისევლობისადმი.

ყველა, ვისაც თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობა ჰქონია რენალდთან, ერთხმად აღიარებდა, რომ მას ხელეწიფებოდა მეცნიერების ნებისმიერ სფეროში მწვერვალების დაპყრობა და თავისი სიტყვის თქმა.

მურმან ჭედია,
გალის რაიონის ყოფილი გამგებელი

ქართველა და აფხაზთა მეგობრობის ზეიმი რუხში

«ქართული მხარის დამარცხების განმსაზღვრელი ფაქტორი და მიზეზი იყო ეროვნული ერთიანობის უქონლობა, შიდადაპირისპირება და გათიშულობა, მაგრამ ასე თქმა ცოტაა. ჩვენი აფხაზეთში დამარცხების მთავარი (თუ უმთავრესი არა) მიზეზი იყო ღალატი, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მიმართ ღალატი, ურთიერთღალატი და საერთოდ ღალატი ელემენტარული ადამიანური პრინციპებისადმი».

რენალდ დგებუაძე,
2003 წ.

ღვთის მიერ დანათლული ნიჭიერება

რენალდ დგებუაძის სახით აფხაზეთის საზოგადოებამ დაკარგა აფხაზეთის პრობლემაზე, თავის დევნილ თანამემამულეებზე დღენიადაგ მოფიქრალი ჭირისუფალი, უმაღლესმა საბჭომ და მისმა კოლეგებმა კი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული კვალიფიციური კანონშემოქმედი და სახელმწიფო მოხელე, პიროვნება, რომელიც ერთნაირად ფლობდა, ღრმად ერკვეოდა როგორც ეკონომიკური მიმათულების დარგებში, ასევე განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს ასპექტებში. გასაოცარი იყო მისი განსწავლულობა ფილოლოგიის საკითხებში, პოეტური ნიჭი, გატაცება ისტორიით.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ აფხაზეთის პრობლემების გარშემო მიმდინარე პროცესების ობიექტური და ღრმა ანალიზის შედეგად მას ჩამოყალიბებული ჰქონდა საკუთარი აზრი მომხდარზე და მოსალოდნელზე. ის მოურიდებლად, მართალი კაცის და მტკიცე მოქალქეობრივი პოზიციიდან პირუთვნელად ამხელდა დაშვებულ შეცდომებს და არსებულ ნაკლოვანებებს, და როგორც ჭეშმარიტი პოლიტიკოსი, თავის პუბლიკაციებში და საჯარო გამოსვლებში სთავაზობდა პრობლემის შესაძლო გადაწყვეტის მისეულ არგუმენტირებულ ვერსიებს.

თანდაყოლილი ნიჭიერება და ღრმა განსწავლულობა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სტატუსი გახლდათ რენალდ დგებუაძის პიროვნების ძირითადი მახასიათებლები, რამაც მას, საქართველოს ძირძველი კუთხის, აფხაზეთის, სახელოვან პირთა და აქტიურ პოლიტიკოსთა კოჰორტაში დაუმკვიდრა სამუდამო ადგილი.

დღევანდელი გადასახედიდან მთელი სისრულით გრძნობ მრავალმხრივი ინტელექტით დაჯილდოვებული, პასუხისმგებლობით გამორჩეული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კოლეგის, დევნილი თანამემამულეების და აფხაზეთის პრობლემების გადაჭრასთან დაკაშირებით უმნიშვენელოვანესი პრინციპების ულალატო, თავდადებული მამულიშვილის და, რაც ყველაზე მთავარია, საიმედო მეგობრის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს.

რენალდ დგებუაძე ნამდვილად უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. ის დღეს, როგორც არასდროს, ესაჭიროებოდა ჩვენს საზოგადოებას. განუხორციელებელი დარჩა ბევრი მისი ჩანაფიქრი და იდეა, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა (მხედველობაში მაქვს გალის რაიონის ეკონომიკასთან დაკავშირებული მისი წინადადებები), რომლებმაც მის სიცოცხლეში ვერ ჰპოვეს რეალიზაცია, ალბათ იმიტომ, რომ მისი აზროვნების საათი ზოგჯერ დროსაც უსწრებდა.

ამ დღეებში, როდესაც კიდევ ერთხელ გადავიკითხე მისი საგაზეთო პუბლიკაციები, გამოსვლები უმაღლესი საბჭოს სესიაზე, მისი პოეზია, თვალი გადავავლე მის ბიოგრაფიას და ცხოვრებისეულ განვლილ გზას, რომელიც ბრწყინვალედ აქვს აღწერილი წიგნში «რენალდ დგებუაძე» ბატონ ოთარ აკიშბაიას, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებ მას, კიდევ უფრო ნათლად გავითავისე მისი მრავალმხრივი ღვთისმიერ დანათლული ნიჭიერება, რომელიც მან თავის სიცოცხლეში ბოლომდე მოახმარა საუთარი ქვეყნის მსახურებას, დევნილი თანამემამულეების პრობლემების რეალიზაციას.

ელგუჯა გვაზავა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

პირნათელი და გულწრფელი ადამიანი

ბატონ რენალდთან პირველივე შეხვედრისას ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობდით. თავიდანვე ისე განაწყობდა ადამიანს, რომ მასთან ურთიერთობა და საუბარი სასიამოვნო იყო. ამას მისი შინაგანი თვისებები განაპირობებდა. ბატონი რენალდი რაფინირებული პიროვნება, კარგად აღზრდილი, განათლებული, სამართლიანი ადამიანი გახლდათ. ის გაიზარდა გალის რაიონის სოფელ საბერიოში, მრავალშვილიან, ტრადიციულ ოჯახში, სადაც სითბო და ურთიერთპატივისცემა სუფევდა. მისი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე სწორედ ოჯახურმა გარემომ მოხდინა დიდი ზეგავლენა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ რენალდის მამა, ბატონი ეგნატე, მათემატიკის ცნობილი მასწავლებელი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და ინვალიდი იყო, დედა, ქალბატონო ქსენია _ პედაგოგი. მათ ექვსი შვილი აღზარდეს _ სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი. ექვსივემ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა, ექვსივემ უმაღლესი განათლება მიიღო ...ზოგი ექიმი გახდა, ზოგი ინჟინერი ... თავად რენალდი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ყაზახეთში ინჟინერ-მშენებლად მუშაობდა, შემდეგ გალის რაიონის რაიკომის იმდროინდელმა მდივანმა ბაკურ გულუამ ის ენგურჰესის მშენებლობაზე ჩამოიყვანა. მომდევნო 10 წელი რენალდი გალის რაიონულ კომიტეტში მოღვაწეობდა, ჯერ - ინსტრუქტორად, შემდეგ - განყოფილების გამგედ, რაიკომის მდივნად, გალის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, იყო გალის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

რენალდმა საკმაოდ მოკლე დროში მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. მან, არამარტო გალის რაიონის, არამედ მთლიანად აფხაზეთის საზოგადოებაში წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც განათლებულმა პიროვნებამ და ღირსეულმა მამულიშვილმა. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მას ხშირად უხდებოდა ჩასვლა სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა აფხაზეთში და თბილისში.

გარდა ამისა, მინდა შევეხო მის შემოქმედებით ნიჭსაც. მე არც კი ვიცოდი, რომ რენალდი ასეთ შესანიშნავ ლექსებს წერდა. მართალია, ერთი შეხედვით მკაცრი პიროვნება იყო და გულისტკივილს არავის უმხელდა, მაგრამ თავის წუხილსა და დარდს, თურმე, ლექსებს ანდობდა. მისი ლექსების კრებული გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. რენალდი შესანიშნავად ერკვეოდა პოეზიაში, უყვარდა ბარათაშვილი და გალაკტიონი, კარგად იცნობდა ალექსანდრე ბლოკის, მარინა ცვეტაევასა და ბელა ახმადულინას პოეზიას, წერდა მოთხრობებსაც. როგორც ჩანს, მისი საოცარი მუსიკალური სმენიდან გამომდინარე, უცხო ენებისადმიც ჰქონდა მიდრეკილება - ფლობდა გერმანულ ენას. როცა შეიტყო, რომ მე გარკვეული ცოდნა მქონდა ინგლისურში, მეცადინეობა მთხოვა. სულ რაღაც წელიწადნახევარში უკვე თავისუფლად საუბრობდა და წერდა ინგლისურად. კარგად იცნობდა გერმანულ ფილოსოფიას, განსაკუთრებით კი - კანტის მოძღვრებას.

გვიან დაქორწინდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ლოდინი ამად ღირდა, რადგან ბედისწერამ აქაც გაუმართლა... არაჩვეულებრივ ქალბატონ _ თამარ ვეფხვაძეზე იქორწინა. მათ ორი ვაჟი აღზარდეს. როდესაც რენალდის და, ცნობილი პედიატრი, ქალბატონი ფლორა გარდაიცვალა, რენალდი და ქალბატონი თამარი მის ვაჟსაც მესამე შვილივით ზრდიდნენ.

მე ხშირად ვსტუმრობდი მათ მამაპაპისეულ სახლს. რენალდის მოხუც მშობლებთან, ბატონ ეგნატესა და ქალბატონ ქსენიასთან საუბარი დიდი სიამოვნება იყო... ეს იყო პატიოსანი ადამიანების ურთიერთსიყვარულით შეკრული წრე, ჭეშმარიტი კოლხური ტრადიციების ერთგული ოჯახი.

ყველა, ვინც რენალდს იცნობდა, იცოდა, თუ რა პირნათელი და გულწრფელი ადამიანი იყო. მას მეცნიერების ნებისმიერ დარგში შეეძლო დიდი წარმატებების მიღწევა. ნათელია მისი კვალი ქართულ საინჟინრო საქმეში და არამარტო ამ სფეროში.

რენალდ დგებუაძე 2004 წელს გარდაიცვალა და დიდი ტკივილი მოგვაყენა ამქვეყნიდან თავისი მოულოდნელი წასვლით.

იმედი მაქვს, რომ მის ღვაწლსა და თავდადებას ქართული საზოგადოება არ დაივიწყებს.

ვახტანგ ყოლბაია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ჩვენი ჯენაღლი

თავის დროზე, როცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ჩვენი პროფესურა ყურადღებას მიაპყრობდა წინა თაობის სტუდენტობის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, მ.შ. ტოლ – მეგობრებისგან ხშირად მსმენია რენალდ დგებუაძის შესახებ, რომელიც ტექნიკური საგნების სწრაფი ათვისების უნართან ერთად, აზროვნების უჩვეულო დიაპაზონითა და ინჟინრებისთვის ნაკლებად დამახასიათებელ თვისებებით – ჰუმანიტარული საგნების, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის ნაკითხობით იყო გამორჩეული. ჩვენი ბიოგრაფიები მაშინ არ გადაიკვეთა. ბედმა ისე განაგო, რომ ენგურჰესზე, ჩვენი საუკუნის მართლაც რომ უნიკალურ და გრანდიოზულ მშენებლობაზე აღმოვჩნდი პარტკომის მდივნად. გულახდილად რომ ვაღიარო, მე ჩემი პროფესიის გამო, ამ ნაგებობის სამეცნიერო – ტექნიკური და საპროექტო გადაწყვეტილებების მოტივაციაში გარკვევა უფრო მიზიდავდა, ვიდრე მშენებელთა მრავალათასიან კოლექტივთან იდეურ პოლიტიკური და პარტიულ – კომკავშირული მუშაობა.

ას კილომეტრზე მეტ მანძილზე გაშლილ სამშენებლო მოედანზე რამდენიმე უნიკალური ტექნიკური პარამეტრების მქონე ობიექტი შენდებოდა: იმ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე მაღალი თაღოვანი ბეტონის კაშხალი (271.8 მეტრი სიმაღლის) რომელსაც ერთ მილიარდ 120 მლნ. კბ. მ. წყალი უნდა დაეგუბებინა, 18 კმ სიგრძის სადაწნეო სადერივაციო გვირაბი (ცოცხალი კვეთი 9X9 მეტრი), ევროპაში ყველაზე დიდი მიწისქვეშა ჰიდროსადგური (მიწის პირიდან 150 მეტრის სიღრმეში, ზომით 270 X 24X 72 მეტრი) გალის ხელოვნური წყალსაცავი და ვარდნილ ჰესების ოთხი კასკადი. ძირითადი ნაგებობის დამთავრებამდე ვარდნილჰესების სადგურებიდან ენერგიის მიღების დაჩქარების მიზნით, სოფელ საბერიოდან ენგური, დროებითი სქემით, მდინარე ერისწყლის ხეობაში გადააგდეს. ამას ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ, რომ თვალნათლიც წარმოიდგინოთ, როგორ რთულ სამშენებლო კომპლექსთან გვქონდა საქმე. ერთხელ ცნობილ ინჟინერსა და მშენებლობის ორგანიზატორს უშანგი გოჯიაშვილს ვკითხე, ვისთან შემეძლო კონსულტაციების გავლა, რომ დაახლოებით მაინც წარმომედგინა ამ ურთულესი ნაგებობის საპროექტო ჩანაფიქრი, მაშინვე რენალდ დგებუაძე დამისახელა. იმ დროს რენალდი საბერიოში, თავის მშობლიურ სოფელში მუშაობდა ერთ – ერთ წამყვან თანამდებობაზე, მიწისქვეშა ჰიდროსადგურისა და ენგურის დროებითი გადაგდების ორივე ობიექტის მშენებლობა ხომ სწორედ ამ სოფლის სანა-

ხებში მიმდინარეობდა. და აი ერთ მშვენიერ დღეს შედგა ჩვენი პირველი პირისპირ შეხვედრა, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, პრაქტიკაში არასოდეს მენახა ასეთი მაღალი ერუდიციისა და განსწავლულობის ინჟინერი, ამ უზარმაზარი მშენებლობის ყველა დეტალში, მიღებული ტექნიკური გადაწყვეტილებების არგუმენტებში ღრმად ჩამწვდარი ახალგაზრდა კაცი. მაშინ იგი მხოლოდ 35 წლისა იყო.

ენგურზე სულ რაღაც, 2 წლის განმავლობაში მუშაობის შემდეგ, ბედმა გალის რაიონში გადამისროლა. ახალგაზრდა ინჟინერ-მშენებელი მომწყვიტეს ჩემს საყვარელ საქმეს (უკვე მერამდენედ), ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, მასშტაბურ მშენებლობას და სოფლის მეურნეობის ერთ – ერთ უმსხვილეს რაიონში გამამწესეს. მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ ეს, ერთი შეხედვით მარტივი, მამა-პაპურ ტრადიციებზე დაფუძნებული სამეურნეო საქმე და სოფლის მოსახლეობა ბევრად უფრო რთული სამართავი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ენგურჰესზე არანაკლებ საინტერესო იქნებოდა.

რაიონის სოფლების შემოვლისას საბერიოს საშუალო სკოლაში ქართული ლიტერატურის გაკვეთილს დავესწარი (მე მასწავლებლების ოჯახში გავიზარდე და ყანებისა თუ ფერმების დათვალიერებისას სკოლას გვერდს არასდროს ჩავუვლიდი); სწორედ საბერიოს სკოლაში ყოფნისას შევიტყვე რენალდის შესანიშნავი მშობლებისა და და–ძმების შესახებ. რენალდის მამის – ბატონ ეგნატე დგებუაძის, დამსახურებული პედაგოგის არაჩვეულებრივი საოჯახო ტრადიციების შესახებ. ამის შემდეგ ბევრი დრო არ დამიკარგავს, რენალდ დგებუაძე ჩემთან მოვიწვიე და რაიკომში პასუხსაგებ თანამდებობაზე გადმოსვლა შევთავაზე; თან მივაყოლე ენგურჰესს ორ-სამ წელიწადში გაუშვებენ და შესაფერისი სამსახურის ახლომახლო პოვნა ძალზე გაგიჭირდება, თან შენი მშობლიური რაიონია და დღემდე დაგროვილი მდიდარი გამოცდილება აბა ვის და რას უნდა მოახმარომეთქი (მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ ამ შესანიშნავ კოლექტივს ისე დაარბევდნენ, რომ მშენებლობის მაგივრად ლუკმა – პურის საძებნელად მთელ დედამიწაზე გაფანტავდნენ). არ ვიცი რენალდმა ვისთან ითათბირა, მაგრამ დადებითი პასუხი მალევე შემომითვალა. ჩვენთან რაიკომში მისმა მოსვლამ უჩვეულო გამოცოცხლება გამოიწვია. ჩვეულებრივ, პოლიტიკურ ასპარეზზე, ასეთი სერიოზული კონკურენტის გამოჩენას სიხარულით არ ხვდებიან ხოლმე; მართალი გითხრათ, გამიკვირდა.

მერე რაც იყო, გალელებმა ჩემზე უკეთ უწყით, ამ წერილის პირველი მკითხველები ხომ სწორედ თქვენ იქნებით, ამიტომ ბევრ დროს არ დავკარგავ, ვიტყვი უმთავრესს – მან გაამართლა გამოცხადებული ნდობა, ბევრადაც გადააჭარბა. საქმესთან ერთად, პროფესიონალიზმსა და ცოდნასთან ერთად,მან თან მოიტანა უაღრესად დახვეწილი ადამიანური ურთიერთობები ყველა მის კოლეგასთან, უცნობთან და ნაცნობთან, ადამიანებთან მუშაობაში სამართლიანობისა და მოყვასის ჭირის გულთან მიტანის, თანაზიარობის გრძნობა. ყველაფერს ამას ის ყოველგვარი პოზიორობისა და მოჩვენებითობის გარეშე, ბუნებრივად აკეთებდა – ინტელიგენტურად რბილად, მაღალი შინაგანი კულტურისა და კაცთმოყვარეობის გამოვლინებით.

...რენალდი დიდი ხანი ცოლს არ ირთავდა. ეს მეც მაწუხებდა, მის ოჯახთან და მის მოყვარულ ადამიანთან ერთად. გალიდან მახარეს, რომ რენალდის ინტერესების სფეროში გამოჩნდა თამარი, მისი რჩეული, არაჩვეულებრივი თვისებებით დაჯილდოვებული იმერელი ქალი; მოკლე ხანში შედგა სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით გამთბარი დიდებული ოჯახი. რენალდს რაც აკლდა პრაქტიკულ ცხოვრებაში, თამარმა შეავსო; წამოვიდა შვილები, გაჩნდა სასიამოვნო მოლოდინები, რომ დგებუაძეების მრავალშვილიანი ოჯახის ტრადიციები გაგრძელდებოდა, მაგრამ...

რენალდის სულსა და გულს, ისევე როგორც ყველა ჩვენი თანამოქალაქისას, წინ საშინელი განსაცდელი ელოდა. აფხაზეთის აწიოკებას მისმა გულმა ვერ გაუძლო და იგი დღეს თავის თანამოძმეებთან ერთად თბილისის მიწაში განისვენებს...

ამ დროს მისი საუბილეო თარიღიც მოვიდა. მჯერა, რომ ზეცაში, მართალთა შორის, სადაც მისი სული განისვენებს ,დიდი ზეიმია, რადგან მანდ იგი ჩვენი, აქ დარჩენილების ღირსეული წარმომადგენელია.

ყოველ დილით,როცა ხატთან ვდგები და ვლოცულობ, ჩემს დათასთან ერთად, რენალდის სულს უფალს ვავედრებ.

ამ უკუღმართ წუთისოფელში, შენს გარემოცვაში, იშვიათი გამონაკლისი იყავი, ჩემო რენალდ და რა გასაკვირია, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ფრთების ბოლომდე გაშლა ვერ შეძელი.

გვაპატიე,რომ ვერ მოგიარეთ, ვერაფრით მოგიშუშეთ ტკივილები, შენს ელვარე ნიჭს ვერ მივეცით სათანადო ასპარეზი. ამით ხომ ქვეყანამ, თითოეულმა ჩვენთაგანმა იზარალა.

... შენთვის დამახასიათებელი დიდსულოვნებით გვაპატიე.

ორიოდე სიტყვა რენალდ დგებუაძის შესახებ

კარგად ვიცი, რომ რენალდ დგებუაძე ოდესღაც გარდაიცვალა, თანაც უეცრად, მოულოდნელად, რაც უმძიმესი შოკი იყო ყველასთვის, და, ცხადია, ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

ამ გულდასაწყვეტი ფაქტის თაობაზე კარგად ვიცი იმიტომ, მთელი ერთი კვირა მის გვერდით ვიყავი. მერე კი მხოლოდ ერთხელ ავედი მის საფლავზე. წლისთავი იყო, მშვენიერი სასაფლაო გაუმართავთ დგებუაძეებს და მას დღემდე თავს ევლება ქალბატონი თამარი.

მერე ბატონი რეანალდი (უფრო ზუსტად, მისი ხატი) არ მონახავს არც ცხადში და არც სიზმარში.

მერე და, რატომ უნდა მენახა ბატონი რენალდი საფლავის ლოდის ქვეშ თუ ფოტოსურათზე, რადგან იგი ჩემთვის დღემდე ცოცხალია და ასეთად დარჩება, სანამ მე ცოცხალი ვარ! განა ვირტუალური სამყარო რამით ჩამოუვარდება რეალურ სამყაროს და მათ შორის პარალელები არ არის?

კლასიკური ბიოგრაფია აქვს რელანდ დგებუაძეს: ნიჭიერმა და გაბედულმა საბერიოელმა ყმაწვილკაცმა ადრეულ ასაკში მიაღწია, ყოველივე იმას, რისი მიღწევაც განსაკუთრებული ზურგის ქარის გარეშეც შეიძლებოდა იმ საუკუნეში და ელიტარული საზოგადოების რჩეულთა ღირსეულ გუნდში დაიმკვიდრა თავისი ადგილი.

მართალია, ბიოგრაფია ქრონიკული თანმიმდევრობით არსებითად ასახავს ადამიანის განათლებას, კარიერულ გაქანებას, ხასიათის თვისებებს, მაგრამ ის მაინც ფორმალური, ცივი და სქემატურია.

რენალდ დგებუაძე იმდენად არაორდინარული ადამიანი და პიროვნებაა, რომ წარმოუდგენელია შესაძლებელი იყოს მისი დატევა რომელიმე სტანდარტულ ბიოგრაფიულ ჩარჩოში:

-ზენიჭიერი კაცია ბატონი რენალდი: არაფერს ვამბობ მისი, როგორც ინჟინერ-მშენებლისა და მოხალისე მათემატიკოსისა და მოყვარული ასტრონომის პროფესიულ განზომილებებზე, მეცნიერების სხვა სფეროებში განსწავლულობაზე, არც იმაზე, რომ იგი ბუნებით პოეტი იყო და მშვენიერ ლექსებს წერდა. აი, იმაზე, რომ შუაღამით (როცა დოკუმენტებზე მუშაობით გადაღლილებს გასამხნევებლად) შექსპირის სონეტებს, მისთვის ჩვეული რიხით, ინგლისურ ენაზე წაგვიკითხავდა და სიმღერალექსად თავადვე მოგვაწვდიდა ქართულად (ხანდახან შილერს თუ და გოეთეს გადასწვდებოდა გერმანულად), ამისი ართქმის უფლება კი ნამდვილად არ მაქვს.

- ძლიერი ფსიქოანალიზის კაცი (გაგრძელება მე-7 გვ.)

გალის რაიონის გამგეობა, 8 მარტთან დაკავშირებული შეხვედრა. 1988 წ.

იყო ბატონი რენალდი: ეტყობა, ფროიდმა და ნიცშემ ბავშვობის წლებიდან გაიტაცეს იგი, მაგრამ აი, ავლიპ ზურაბაშვილსა და დიმიტრი უზნაძეზე შეეძლო მთელი საათი ელაპარაკა, თანაც ყოველგვარი ემოციის გარეშე. რაიკომში თუ აღმასკომში მიღებაზე მოსულ მოქალაქეს შორიდან შეხედავდა და უმალ ხვდებოდა, თუ ვინ იყო და რა საქმეზე იყო მოსული. როგორც იტყვიან ხოლმე, მას ჰქონდა გამორჩეული უნარი უთუოდ რამე მაინც გაეკეთებინა იმ ადამიანისთვის, რომელიც პირადი თხოვნით თუ საქვეყნო საქმეზე წინადადებით იყო მოსული.

- მეგობრობის და ერთგულების უებარი გრძნობა ჰქონდა ბატონ რენალდს: მას უამრავი მეგობარი და ამხანაგი ჰყავდა მშენებარე თუ მოქმედ ენგურჰესის გიგანტზე, თბილისში, გალში, სამეგრელოში თუ აფხაზეთში. მას ყველგან იცნობდნენ, იგი გამორჩეულად პატივდადებული იყო ყველგან და ყველასგან, სადაც და ვისთანაც ერთხელ მაინც ჰქონია შეხება. მისი გამჭრიახი გონი, ასევე გულისხმობდა გამორჩეულ მეხსიერებას და მან ზეპირად იცოდა იმ ადამიანების გვარ-სახელი, ვისთანაც კი ოდესმე ჰქონია ურთიერთობა.

- გულითადი მასპინძელი და სტუმართმოყვარე კაცია ბატონი რენალდი: მის სახლში მუდამ გაშლილი იყო ქართულად უხვი სუფრა და პურმარილი, თუმცა, ხანდახან წუხდა, რომ, მამაჩემი ეგნატე დგებუაძე მე ბევრად მჯობნიდაო ამ საქმეში. ფართო ერუდიციისა და სამშობლოს სიყვარულის თავისებური გამოხატვის გამო იგი თამადების თამადის სტატუსსაც ატარებდა გალში, მაგრამ, როგორც შევატყვე, მისთვის თამადობაზე უფრო დიდი პატივი იყო, სუფრის მომსახურედ ყოფნა, ღვინოს დასხმისა და ჭიქების შევსების ქართული რიტუალი.

-უბადლო მეზობელი იყო ბატონი რენალდი : კეთილმოსურნე, პრაგმატული, დინჯი, თავაზიანი და სამართლიანი, როცა რამე სამეზობლო საყოფაცხოვრებო საკითხი ერთობლივად იყო მოსაგვარებელი. ქალაქ გალში, იმდროინდელ ჩვენს სამეზობლოში, იგი ყველა დღესასწაულის მოთავე იყო, თანაც ყოველი მეთაური ღონისძიება, როგორც წესი, მასთან იწყებოდა და ჯაჭვური რეაქციით სხვა ოჯახში ვრცელდებოდა. სალამს და გაღიმებას ვერ დაასწრებდა კაცი, უზომოდ უყვარდა ბავშვები, - ეზოს ყველა პატარა მისი პირადი მეგობარი და ძმაკაცი იყო.

- მაღალი ზნეობისა და ღირსების კაცია: პირში მთქმელი, ჯიუტობამდე პრინციპული და უღალატო.

-გამორჩეული მეოჯახეა ბატონი რენალდი: საქმეებში ყოველთვის ყელამდე ჩაფლულს არც არასდროს დაუკლია ზრუნვა, სითბო და სიყვარული მეუღლისა და შვილებისადმი. გალში დღემდე ლეგენდებს ჰყვებიან რენალდისა და იმჟამად მისი პატარა ვაჟიშვილების რენიკოსა და ნიკას თავისუფალ და ამაღლებულ ურთიერთობებსა და არასტანდარტულ სტანდარტებზე. რენალდის მეუღლე, ქალბატონი თამარი იყო და არის ის ადამიანური საყრდენი, რაზედაც დაშენდა დგებუაძეების ოჯახური ბუდე და ჰარმონიული დედასვეტი.

- უზადო მამულიშვილია ბატონი რენალდი, რაც მან არაერთგზის დაამტკიცა თავისი მახვილი კალმით, სიტყვით და საქმით. იმ დროს, როცა ქვეყანაში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა (მიუხედავად თავისი მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობისა და რეგალიებისა), იგი უყოყმანო დადგა ხალხის ნების სადარაჯოზე (თუმცა მეგობრების წრეში სრულიად გულწრფელი, მაგრამ წინასწარმეტყველივით ფრთხილიც იყო ქვეყნისთვის მოსალოდნელი რისკებისა და პრობლემების საკითხებში), რაც ახდა კიდეც. იგი ასეთი იყო მაშინაც, როცა აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი გაჩაღდა. რენალდ დგებუაძე კარგად ბევრის მომსწრე და მნახველი, ამასთან ინფორმირებული და შინაგანად სამართლიანი კაცი იყო, რომელსაც თავისთავადი პოზიცია, საკუთარი პრინციპები და ცხოვრების კრედო (თუნდაც მშობლებისგან თანდაყოლილი თუ ჰეგელისა და კანტის დიალექტიკის გავლენით გათავისებული ფილოსოფია და მსოფლმხედველობა) არასდროს გაუხდია საეჭვოდ, მით უფრო, სავაჭროდ.

თავისუფალი კაცია ბატონი რენალდი, მისთვის არ არსებობს დრო და სივრცე, როგორც სამარადჟამოდ გახევებული მეტაფიზიკური მოცემულობა, ამიტომაც არ მჯერა, რომ ის ახლაც ჩვენთან არ არის, ან სიკვდილსაც თუ ძალუძს მისი მოთოკვა და ძლევა, სადმე და რამეში საზღვრებში მოქცევა. ასეა თუ ისე, რენალდ დგებუაძე დღემდე ცოცხალია ჩემთვის, ისევე, როგორც მისი უამრავი მეგობრისა და ახლობლისთვის. ის ჩვენთან არის, ამასთან თავისი ღირსი ადგილი ქვეყნის ღირსეულ მომავალშიც აქვს დამკვიდრებული.

ბატონ რენალდ დგებუაძის მისამართია: საბერიო (დგებუაძეების აღმართი), ასევე, და უპირველესად, ჩვენი გულები, ჩვენი მარადიული ხსოვნა და ყოველი ჩვენგანის მეხსიერების ლაბირინთები.

რაფიელ გელანტია
საქართველოს პარლამენტი

დაუვიწყარი მეგობარი

ბაკურ გულუა

ბატონი რენალდ დგებუაძე გამორჩეული პიროვნება, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მისი პატიოსნება, გულისხმიერება, თავმდაბლობა, მშვიდობისმოყვარეობა ყველასათვის მისაბაძი იყო.

ბატონმა რენალდმა მტკივნეულად განიცადა კონფლიქტის დაწყება აფხაზეთში. სულ იმის მცდელობაში იყო, როგორ შეგვეჩერებინა ორი მოძმე ხალხის - ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება, თანამოგვარეთა ერთმანეთთან ბრძოლა. იგი შესანიშნავი ანალიტიკოსი, გამჭრიახი კაცი იყო, ამიტომ მისთვის ჩვეული პრინციპულობით ამბობდა: გარეშე ძალების მიერ ინსპირირებული კონფლიქტისაგან თავდაღწევა მხოლოდ ორივე მხარის ძალისხმევით არის შესაძლებელიო.

ეს ჭეშმარიტება დღესაც აქტუალურია.

ბატონმა რენალდმა, თავად მაღალი ინტელექტით დაჯილდოვებულმა, უშურველად იცოდა სხვათა ნიჭის შეცნობა და დაფასება. მახსოვს მისი თანადგომა: როცა წაიკითხა ჩემი წიგნის «სამყაროული მოძრაობა» პირველი გამოცემა, რომელიც მაშინ 150-მდე გვერდს მოიცავდა, განაცხადა: ნახავთ, ეს მომავალში რა ფუნდამენტური ნაშრომი გახდებაო. მართლაც, ახდა ბატონი რენალდის წინასწარი ხედვა: «სამყაროული მოძრაობის» მე-5 გამოცემა მოიცავს 500-მდე გვერდსა და 300-ზე მეტ ორიგინალურ დასკვნასა და ფუნდამენტურ აღმოჩენას.

მეგობრის თანადგომის, გამამხნევებლის, სიკეთის მუდმივად მთესველის სულის სამყოფელი ღვთის საუფლოშია.

ღვთის საუფლოში შენი სულის სამყოფელი, მეგობარო რენალდ!

აკაკი გასვიანი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

ჩემი უფროსი მეგობარი

რენალდ დგებუაძეზე შთაბეჭდილებების გამოხატვა ცალმხრივად შეუძლებელია, რამეთუ ამ პიროვნებასთან დაკავშირებით საქმე გვაქვს მრავალმხრივი ტალანტების ფეიერვერკთან.

ჩემი საქმიანობის ხანგრძლივ პერიოდში მიმუშავია მისი ხელმძღვანელობითაც, მის გვერდითაც და სახელმწიფოებრივ- პოლიტიკურ თანამდებობაზე კოლეგების იპოსტასშიც, შესაბამისად, მქონდა საშუალება ყველაფერი ზემოთ აღნიშნული პირადად მეგრძნო და მეხილა. ყოველთვის სიამაყით ვაცხადებ, რომ ბევრი რამ მისწავლია მისგან, მისი რჩევები, საქმიანი წინადადებებიც გამითვალისწინებია მუშაობასა და ცხოვრებაში, მაგრამ, რაც განსაკუთრებულად ხაზგასასმელია, აღნიშნული მისი მხრიდან არასოდეს გაკეთებულა მომაბეზრებელი დიდაქტიკისა და პიროვნული უპირატესობის მატარებელი ნიშნით, არამედ მუდამ ემყარებოდა ჭეშმარიტ მეგობრულ სიყვარულს, მის ცხოვრების წესს, განსაცვიფრებელ განათლებულობასა და ერუდიციას, თავისუფალი აზროვნებისადმი უსაზღვრო მიდრეკილებას. სწორედ ამიტომაც შეუძლებელი იყო რენალდ დგებუაძის გვეერდით ყოფილიყავი და კეთილი შურით ნაკარნახევი სურვილი არ გაგჩენოდა მისგან ამ თვისებების შენზე «გადმომისამართებისა».

სამწუხაროა, რომ ბატონი რენალდის აზრი, გონება, სულიერება, აზროვნების სიმრთელე და თავისი ქვეყნის მიმართ უანგარო, ჭეშმარიტი ჭირისუფლობა, ამჟამად აგრერიგად აუცილებელი აფხაზეთიდან დევნილი და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული სამოქალაქო საზოგადოებისათვის, დააკლდება ინტელექტუალური ფიქრისა და განსჯის საერთო-ეროვნულ ყულაბას! გასაკვირი როდია, რომ ადამიანები, ვინც იცნობდა და ვისაც ურთიერთობა ჰქონია რენალდ დგებუაძესთან, გულწრფელ სინანულს გამოხატავენ ამ საწუთროსგან მისი უდროო განრიდების გამო!

მეც სიამაყით ვრაცხ ჩემს თავს მათ რიგებში, ბატონო რენალდ, ჩემო უფროსო მეგობარო!

თამაზ ხუბუა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

თერთმეტი წელი რენალდის გარეშე

«სათქმელი ჩემი ყველგან, ყოველთვის
მითქვამს თამამად, არა შეკრთომით,
ჩემო შვილებო, როს არ ვიქნები
ნუ მომიგონებთ აუგად, წყენით».
რენალდ დგებუაძე

ჩვენ ორივე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც პერსპექტიული პარტიული მუშაკები, მიგვავლინა (1979-1981 წწ) საკავშირო პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქ. ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში სასწავლებლად, ორი წლით, იქ ერთ ჯგუფში მოვხვდით და ლექციო- სემინარების მოსმენაც ერთად გვიწევდა.

პირველად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში გავიცანით ერთმანეთი (1979 წელს) და მას შემდეგ ჩვენი გზები აღარ გაყრილა გარდაცვალებამდე.

რენალდი თავისი ერუდიციით ყველასგან გამოირჩეოდა, მაგრამ ამით არასოდეს ამაყობდა და პრივილიგირებულ მდგომარეობაში ყოფნას არ ცდილობდა, ვინაიდან ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა. ლექცია-სემინარებზე მის დასმულ შეკითხვებზე ლექტორებს პასუხის გაცემა უჭირდათ, ამიტომ თავის შეკითხვებს თვითონ პასუხობდა. მას, როგორც დიდად განსწავლულ და მოაზროვნე პიროვნებას, ლექტორები, პარტიული სკოლის მსმენელები, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, როდესაც ჯგუფი მზად არ ვიყავით სემინარებისათვის, მაშინ მას გამოვყავდით მდგომარეობიდან, მთელი სემინარის განმავლობაში ხუმრობდა შთამბეჭდავად და საინტერესოდ.

მის საკურსო ნაშრომში, რომელიც პარტიულ მშენებლობას შეეხებოდა, საბჭოთა წყობილებისათვის მიუღებელი დასკვნები იყო გაკეთებული, მაგრამ ეს იმდენად დამაჯერებელი არგუმენ-

ბაქო. სამართლებრივი სკოლის სემინარზე

ტებით ჰქონდა დასაბუთებული, რომ ვერ შებედეს რაიმე შეეცვალათ. ზეწარჩინებული სწავლის გამო მისი სურათი ყოველთვის საპატიო დაფაზე გახლდათ გამოკრული და სასაწვლებლიდან ჩვენი წამოსვლის შემდეგაც დიდხანს არ ჩამოუხსნიათ.

სწავლის პერიოდში ჩვენ ერთად ყოფნა გვიწევდა დანარჩენ ქართველ მსმენელებთან ერთად. ვამჩნევდი ჩემ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას, როდესაც უკვე ვამთავრებდით სასწავლებელს, სიყვარულში გამომიტყდა, იგი სწავლის დამთავრებამდე გაიწვიეს გალის რაიკომის მდივნად და მხოლოდ გამოსაშვებ გამოცდებზე შემოგვიერთდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. პარტიული სკოლის დამთავრების მერე ვმუშაობდი ხარაგაულის რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ, ხშირად გვიწევდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თათბირებზე შეხვედრა, გვქონდა სატელეფონო საუბრები, გვყავდა საერთო მეგობრები.

მე და ჩემი მაგობარი დარეჯან მშვენიერაძე, რომელიც ხარაგაულის პარტიის რაიკომის მეორე მდივანი იყო და რენალდის კოლეგა, მეგობარი და მესაიდუმლეც გახლდათ, 1982 წლის აგვისტოში ვისვენებდით სანატორიუმ ,,კოლხიდაში''. რენალდმა მოგვინახულა როგორც მასპინძელმა თავის მეგობრებთან ერთად.

1982 წლის 7 ნოემბერს შევქმენით ოჯახი, მისმა ოჯახმა და ახლობლებმა კარგად მიმიღეს. მოვხვდი ოჯახში, რომელიც ცნობილი იყო მთელ აფხაზეთში და საქართველოში, ჩემი მამამთილი - ეგნატე დგებუაძე გახლდათ საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ცნობილი მათემატიკოსი, საბერიოს 100-წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, მან და მისმა მეუღლემ, ჩემმა დედამთილმა ქსენია აქუბარდიამ სამშობლოს აღუზარდეს 6 შვილი, ექვსივე ოქროს მედალოსანი, ექვსივე წითელდიპლომიანი და ექვსივე საზოგადოებაში წარჩინებული.

ეს იყო ოჯახი, სადაც ყველას ერთმანეთი უყვარდა და აფასებდა, ჩემსა და მათ შორის რაიმე წყენას ან გაუგებრობას ადგილი არასოდეს ჰქონია. ისინი იყვნენ (შიძლება ითქვას, ზედმეტადაც) კაცთმოყვარე, სტუმართმოყვარე, სიკეთით სავსე ადამიანები, რომელთაც არასოდეს ფიქრშიაც კი არ გაუვლიათ ვინმეს ცუდი.

ჩვენ არამარტო მეუღლეები, არამედ თანამოაზრეები და მეგობრები ვიყავით. მიუხედავად დროის სიმცირისა, იგი იყო საუკეთესო მამა, მეგობარი და მასპინძელი.

1982 წლის 7 ნოემბერს შევქმენით ოჯახი და 2004 წლის 7 ნოემბერს 22 წლის თავზე მოულოდნელად გარდაიცვალა, რაც დიდი ტარგედია იყო არამარტო ჩემი ოჯახისათვის, არამედ იმ ადამიანებისთვისაც, ვინც მას იცნობდა და მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

11 წელია მის გარეშე გვიწევს ცხოვრება, რაც წლები გადის, უფრო და უფრო მძიმე ხდება ჩემთვის და ჩემი შვილებისათვის უმისობა. მისი სახით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქვეყანამ, აფხაზეთმა, გალის რაიონმა დაკარგა ერუდირებული, სამშობლოსა და თავისი ხალხის ერთგული, მასზე უზომოდ შეყვარებული კაცი-ლეგენდა.

თამარ ვეფხვაძე,

რენალდ დგებუაძის მეუღლე

ექვსი უჯიდი - ექვსი ოქრო

რას წერდა რესპუბლიკური პრესა 50 წლის წინ დგებუაძეების ოჯახის შესახებ

ენგურის პირას გორაკებზეა გაშლილი სოფელი საბერიო. ერთ-ერთ გორაკზე მეგრული ოდა-სახლი დგას, აივანზე მამაკაცი ზის და წიგნს კითხულობს. ზოგჯერ სათვალეს მოიხსნის და ხეობას აყოლებს მზერას ენგურის სათავისაკენ. შემდეგ დიდხანს უცქერის მთებს, საიდანაც მოჰქრის შმაგი მდინარე.

ეს ოჯახის უფროსი ეგნატე დგებუაძე გახლავთ.

ვერაფრით გაგაკვირვებს იგი: ვერც ტანადობითა და ვერც სიტყვაკაზმულობით. ეგნატეს დროის განმავლობაში კედლებგამუქებული ფიცრული სახლი უდგას. ეზო-კარიც ჩვეულებრივი აქვს: ვენახი, ხეხილი, სიმინდი, ბოსტანი...

მაგრამ ეგნატე დგებუაძეს ყველაზე მდიდარ კაცად მაინც თავისი თავი მოაქვს. მას ექვსი შვილი ჰყავს. ამაშიც, რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი არაფერია, თუმცა...

ჯერ ცოტაოდენ თვით ოჯახის უფროსზე ვილაპარაკოთ.

დიდი გაჭირვება აქვს გამოვლილი ეგნატეს. დედ-მამა არ ახსოვს - ძალიან ადრე დაკარგა. დედობაც და მამობაც ოჯახში მასზე რამდენიმე წლით უფროსმა დამ გასწია. ობლად დარჩენილთ არ შეეძლოთ ერჩინათ თავი. მათ მთელი სოფელი ეხმარებოდა: მეზობლები უხნავდნენ მიწას, უთესავდნენ სიმინდსა და ლობიოს, დროზე მარგლავდნენ და როცა სიმინდი შემოვიდოდა, შეესეოდნენ მეზობლები მათ ყანას და ერთ საათში გარჩეულ სიმინდს ნალიაში შეუყრიდნენ. არც ამის შემდეგ აკლებდნენ ყურადღებას ისინი ობლებს.

პატარაობიდანვე უცნაური ხასიათი დასჩემდა ეგნატეს. 9 წლის არ იქნებოდა იგი, როცა ეზოში მოსახნავად შემოსული მეზობელი გუთანთან არ მიუშვა - „მე თვითონ მოვხნავ„. ცხენებს შეუძახა ეგნატემ. სახნისი მიწაში ჩაეფლო, მაგრამ მალე „გუთნისდედა“ მიწაზე გაიშხლართა - გუთანი წაექცა. კიდევ სცადა, კვლავ წაიქცა ეგნატე. ცხენებმა წაათრიეს გუთანი. გაცხარებული ზეზე წამოხტა, სინანულით სავსე თვალები გააყოლა ცხენებს...

- არაფერია, - გაამხნევა მეზობელმა, - შენ ცხენებს გაუძეხ, გუთანს კი მე გავყვები.

- ეს რომ არ ეთქვა იმ დალოცვილს, ეგნატე, ალბათ, ქოხში გაიქცეოდა და იქ დიდხანს იტირებდა.

- ჩაავლე აღვირს ხელი, გაუძეხ! - შესძახა ბრგე, კუნთმაგარმა გუთნისდედამ.

- „გაუძეხ“, - თითქოს გაიმეორა ეგნატეს გულმა და იგი წამში აღვირს ჩააფრინდა, მოქაჩა.

მხვნელმა ცხენებს შეუძახა და განაფულებმა ფრუტუნით გასწიეს.

ეგნატე ცხენებს მიუძღოდა. აღვირს წამდაუწუმ ხან მარცხენათი ეწეოდა, ხან მარჯვენათი. ხელების შეცვლის დროს ცხენებს თვალებში შეაცქერდებოდა, უხაროდა, რომ ისინი მორჩილად მოჰყვებოდნენ. შემდეგ მოსახნავ ფართობს გახედავდა.

როცა წრე შემოავლეს კვალს გაჰყვა ეგნატე, უხაროდა, პირველი ხნული რომ იხილა.

ეგნტე დგებუაძის ოჯახი

ეს იყო მისი პირველი ხნული ცხოვრებაში. მას შემდეგ დღემდე იგი შრომით კვალს მიჰყვება.

სწავლასაც დაეწაფა. იმდენი წიგნი, ახლა ჩვენს ბავშვებს რომ აქვთ, სად იყო მაშინ, მაგრამ ცოდნასმოწყურებულ ეგნატეს ეს არ აბრკოლებდა. გაკვეთილის ახსნას გულისყურით უსმენდა. კლასში ერთი წიგნი თუ ვინმეს ჰქონდა, იქიდან გადმოიწერდა გაკვეთილს, მეცადინეობდა, როცა თავის ორიოდე თხას საბალახოდ გაირეკავდა.

საბერიოს შვიდკლასიანი სკოლა წარჩინებით დაამთავრა. მასწავლებლებმა ურჩიეს ეგნატეს სწავლა გაეგრძელებინა.

უკვე პატარა არ იყო ეგნატე და თვითონაც გრძნობდა, რომ უნდა ესწავლა. არამარტო გრძნობდა, სწყუროდა სწავლა. საბერიოდან სოხუმში გაემგზავრა, სადაც პედსასწავლებელში მოეწყო, რომელიც 1934 წელს დაამთავრა.

სოხუმში მასწავლებლებმა მასში ფიზიკისა და მათემატიკისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება შეამჩნიეს, ურჩიეს, ამ გზით ეარა.

ყმაწვილს მეცნიერების მწვერვალებზე ასაფრენი ფრთები შეესხა... მაგრამ, შემდეგ ცხოვრებამ იმ ფრთებს თითო-ოროლა ბუმბული ჩამოაგლიჯა - ეგნატე იძულებული გახდა მშობლიურ სოფელში დაბრუნებულიყო, მასწავლებლობა დაეწყო. შემდეგ დაოჯახდა და მეცნიერების გზაზე ოჯახის ათასი საზრუნავი გადაეღობა. სამამულო ომმა კი საბოლოოდ შეუკვეცა ოცნების ფრთები და მშობლიურ სოფელში დარჩა საბოლოოდ. ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდა, უმაღლესი ცოდნა დაუსწრებლდა მიიღო.

ახლა ეგნატე საბერიოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა და მათემატიკურ საგნებს ასწავლის.

სულ ეს არის და ეს ეგნატე დგებუაძის ბიოგრაფია... და იგი ჩვეულებრივი, უბრალო იქნებოდა, რომ მას ნათელი გაგრძელება არ ჰქონდეს.

ეს გაგრძელება მისი შვილებია.

დასაწყისში ვახსენე, რომ მას ექვსი შვილი ჰყავს: სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი. ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა - სხვებსაც ხომ ჰყავთ 6 შვილი, მაგრამ ექვსიდან ხუთს ოქროს მედალზე ჰქონდეს დამთავრებული საშუალო სკოლა, ხოლო მეექვსე ოქროს მედლის პრეტენდენტი იყოს - ეს კი იშვიათია, ეს კი - არაჩვეულებრივია.

სწორედ ამიტომ მიაჩნია ეგნატე დგებუაძეს თავისი თავი ყველაზე მდიდარ კაცად.

ლეილამ, ეგნატეს უფროსმა ქალიშვილმა, საბერიოს საშუალო სკოლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაულტეტი წარჩინებით დაამთავრა. ახლა იგი მშობლიურ სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელია.

სხა შვილებმა პედაგოგობა არ ირჩიეს.

რენალდმა დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მის დიპლომს ამშვენებს სიტყვა «წარჩინებით». იგი 25 წლისაა. ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობს ინჟინრად. იქნებ ამიტომ გასცქერის ეგნატე ასე ხშირად ენგურის ხეობას.

იამზე 22 წლისაა, როგორც უკვე ვთქვით, მანაც ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე ჩაერიცხა. ახლა იგი მეორე კურსზეა და წარმატებით სწავლობს.

ჯენერი ძმის კვალს გაჰყვა, ისიც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს. პირველი კურსის ყველა საგანი ფრიადზე ჩააბარა. ახლა ეგნატე და მისი მეუღლე ქსენია იამზესა და ჯენერის ჩამოსვლას მოელიან.

ფლორამ ეს-ეს არის დაამთავრა საშუალო სკოლა. რა თქმა უნდა, ოქროს მედალზე. მას სურს ექიმი გახდეს.

მეექვსე - შუქრი, მეცხრე კლასში გადავიდა. პირველი კლასიდანვე ფრიადოსანია. ეჭვი არ ეპარება, რომ ისიც არ ჩამორჩება უფროს ძმებს და დებს - და მერე... ოქროს მედალზე დაამთავრებს სკოლას. მერე ისიც შეისხამს ოცნების ფრთებს, ოღონდ მას ობლობა და გაჭირვება ვერ მოაგლეჯს ბუმბულებს.

გ. კვირკველია

რენალდ დგებუაძე

ოდა სიცოცხლეს

მზე მომეკიდა მზის უსაზღვროდ მოსიყვარულეს,
თმებს რომ დამიშლის, თბილისური ნიავქარია,
ვგავარ სხვა ათასს ამ ქუჩაზე მოსიარულეს,
გიგონებ შენ და მოგონება სულს უხარია.

სიცოცხლე ჩემი სიხარულის არის ნაყოფი,
და სიძულვილი თუ მოუღებს როსმე მას ბოლოს,
საქართველოში წუთისოფლის სტუმრად ნამყოფი
დავტოვებ სახელს, როგორც დროშას, როგორც სიმბოლოს.

თუ საქართველო სიყვარულის არის ზღაპარი,
სიცოცხლე ჩემი მასში წმინდა არის გალობა,
ვით სილამაზის უკვდავების თავშესაფარი -
ქართულ თვალების მე ვიწამე ჩაუმქრალობა.

მზე მომეკიდა მზის უსაზღვროდ მოსიყვარულეს,
თმებს რომ დამიშლის, თბილისური ნიავქარია.

1958

ჩვენ დავბრუნდებით

ჩვენ დავბრუნდებით ედემის ბაღში,
გზით პირდაპირით, არ გამრუდებით,
მშობლიურ ცის და მიწის წიაღში
კვლავ სიმღერებად ავგუგუნდებით!

ისევ ავზიდავთ სრა-სასახლეს
ცისარტყელების შვიდფერ თაღებით
და ზედ საყვარელ წმინდა სახელებს
ამოვქსოვთ ოქროს ყაისნაღებით;

ავაბრიალებთ სიცოცხლის დროშებს
ნარინჯ-თურინჯის პლანტაციებად...
ჩვენ დავრუნდებით, დეკემბრის თოშზე
ვით გაზაფხულის შურისძიება!

ჩვენ დავბრუნდებით მტრების ჯინაზე
მხრებგაშლილი და წელგამართული,
კოლხთა ღვთის რჩეულ ბებერ მიწაზე
კვლავ იჯეჯილებს ჯიში ქართული!

1998

რენალდ დგებუაძე – 75

.ერთ დღეს და ერთმანეთისთვის დაბადებულნი: რენალდ დგებუაძე და თამარ ვეფხვაძე-დგებუაძე. 2004 წ. 13 ოქტომბერი

უმცროსი რენალდ დგებუაძე ქალიშვილთან - თამართან ერთად

სიღნაღის რაიონი, ბოდბისხევი. 1999 წ. სექტემბერი

საბა დგებუაძე, უფროსი შვილიშვილი, 11 წლის

ჩარგალში. 1999 წ. 3 ივლისი

ეგნატე დგებუაძის სახლის ნანგრევები
(აფხაზებმა გადაწვეს 1998 წელს)

ISSN 2298-0865
9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი